ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 1 ოქტომბერი 1994 № 52 (127) ფასი სახელშეკრულებო

# 1:5 უშედეგოდ და უდაცველოდ

## მატჩის ქრონიკა

4 წუთი. ავსტრიელთა მიერ მარცხენა ფრთიდან დაწყებული შეტევა ჩვენს საჯარიმოში ჩამოწოდებით მთავრდება — აქ რამდენჯერმე ცდებიან ჩვენი მცველები, ბურთი მისდის ჩერნის, რომელც მარჯვნიდან, თხუთმეტ-ოცი მეტრის მანძილიდან კარში ურტყამს. ბურთი ხვდება ლობჟანიძეს და რიკოშეტით კარში გადის 0:1.

14. შვიდწუთიანი შტურმის შემდეგ დინამოელებს ნამდვილი საგოლე მომენტი ექმნებათ: შოთა არველაძე მარცხნიდან შედის საჯარიმოში, ატყუებს მცველს, ურტყამს კარში, მაგრამ ბურთი ბურთი იმავე მცველს კუთხურზე გააქვს.

20. მეტოქის შეტევებით გაოგნებული კრანკლი მირბის მინდვრის ხაზთან და თავისიანებს კატეგორიული ჟესტებით შეტევებში უხმობს.

23. ხანე და დანეკი ლობჟანიძესთან პირისპირ რჩებიან, ხანე თავად ცდილობს შეტევის დაგვირგვინებას, მაგრამ ამაოდ.

26. ქინქლაძეს რეზო არველაძე მეკარესთან პირისპირ გაჰყავს. რეზო ასწრებს მეკარეს, მაგრამ კოხი აშკარად რეზოს ფეხებზე თამაშობს. თურქი მსაჯი დუმს.

30. მარჯვნიდან ჩერნის გარღვევა დეზორგანიზაციას იწვევს დინამოელთა დაცვაში. რევიშვილის შეცდომის შემდეგ ხანე ფეხს აცილებს ბურთს, დინამოელ მცველებს „სძინავთ“, ამით სარგებლობს შტიოგერი და 16 მეტრიდან ძლიერად ურტყამს ზარიძის ქვემოთ — ზოიძეს მცველები ეფარებიან. 0:2.

32. ქინქლაძის დარტყმული ოდნავ სცდება მიზანს.

34. დინამოელთა მცველებს კვლავ „ჩაეძინათ“, ინალიშვილის შეცდომის შემდეგ დანეკს ძლიერი დარტყმით მესამე გოლი გააქვს.

36. რეზოს პასით შოთა პირსპირ გადის კოხთან, ლამაზად ატყუებს მას და... 1:3.

55. რეზოს პასით შოთა მკერდით იღებს, მაგრამ მცველები ზედ საჯარიმოს წინ ბურთს ართმევენ.

56. საჯარიმოში შეჭრილი კირხლერი მარცხნიდან ძლიერად ურტყამს. ზოიძე ახლო კუთხეს ფარავს და რეაქციას აგვიანებს, თუმცა ბურთს მაინც უცვლის მიმართულებას. ჩვენი მცველების პოზიციური შეცდომის შემდეგ დანეკმა თითქმის კარის ხაზიდან მეოთხე გოლი გაიტანა.

63. შტიოგერის პასით ხანე პირისპირ რჩება ზოიძესთან, მაგრამ ჩვენი მეკარე ნემსაძის დახმარებით კუთხურზე იგერიებს ბურთს.

70. დანეკი ვერ იყენებს ნაღდ საგოლე მომენტს.

76. რეზოს პასით ინალიშვილი 20 მეტრიდან ურტყამს ბურთს, მაგრამ კარს მარცხნიდან აცილებს.

81. პროდლომ „იღორა“ და საგოლე მომენტი გააფუჭა.

82. შტიოგერი ზოიძესთან პირისპირ რჩება, მეკარე ბურთს კუთხურზე იგერიებს.

88. იანეშიცის გარღვევა მარცხენა ფრთიდან ძლიერი დარტყმით მთავრდება. ზოიძის მოგერიებულ ბურთს ჩვენი სამი მცველის გარემოცვაში (!) კვლავ იანეშიცი ეუფლება და მახვილი კუთხიდან ზუსტად ურტყამს — 1:5.

მეთექვსმეტედფინალში გასვლის ბედი თბილისში, მატჩის 43-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც მურთაზ შელია მინდვრიდან გააძევეს. ერთადერთი, რამაც დინამოელებს თბილისში იხსნა, დაცვაში „ჩასხდომა“ იყო. თანაც ერთით ნაკლებმა თბილისელებმა კონტრშეტევაზე არაერთხელ ლაიჭირეს მეტოქე და მხოლოდ უიღბლობას უნდა მივაწეროთ, ანგარიში რომ ვერ გაზარდეს, თუმცა თავადაც გადარჩნენ. დარწმუნებული ვარ: რომ არა შელიას არყოფნა, „დინამო“ სულ სხვაგვარ ფეხბურთს ითამაშებდა ავსტრიაში და, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩი.

ალბათ ყველა ელოდა, რომ ინსბრუკში თამაშს ჩვენები თბილისური მეორე ტაიმის სცენარით წარმართავდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა: „დინამომ“ შეუტია, „ტიროლმა“ კონტრშეტევებს მიმართა და ჩვენი დამცველების პერმანენტული შეცდომის შემდეგ აკი პირველი გოლიც გაიტანა. ამის შემდეგ ერთხანს დინამოელებმა ბურთიც კი დაუმალეს მეტოქეს და საგოლე მომენტებიც შექმნეს. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო: ნაწვიმარ მინდორზე დინამოელთა მცველები წამდაუწუმ ცდებოდნენ და ადრე თუ გვიან გოლს მივიღებდით. ასეც მოხდა და ერთი კი არა, ორი გოლი მიივლეთ. დინამოელები, სანამ ჯანი ერჩოდათ, მწვავედ უტევდნენ და შოთამ იმედისმომცემი გოლიც გაიტანა. მეორე ტაიმში კი, მიუხედავად, ჩემი აზრით, დაცვაში მომხდარი სწორი გადაადგილებისა (რევიშვილმა მარცხნიდან მარჯვნივ გადაინაცვლა, ნემსაძემ მარჯვნიდან უკანა მცველად დაიწია, ლობჟანიძემ კი ცენტრიდან — მარცხნივ), აშკარად გამოიკვეთა ავსტრიელთა უკეთესი ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება, რის ხარჯზეც მათ დინამოელებს ფეხი აღარ გაანძრევინეს და მატჩის მიწურულს შეაგდეს კიდევ ორი გოლი, რომელთაც წერტილი დაუსვეს დინამოელთა განადგურებას.

ახლა კი მოგახსენებთ ჩემს აზრს, თუ რამ გამოიწვია დინამოელთა კატასტროფული მარცხი ინსბრუკში.

— დამარცხებაშ „ლომის წილი“ უდავოდ გივი ნოდიას უძევს. „დინამოს“ დამარცხებაზე ბატონი გივიც ფაქტიურად ამ აზრისაა და სულაც არ ცდილობს წაგება მსაჯს და სხვა ხელისშემშლელ პირობებს დააბრალოს (მასთან ინტერვიუს ქვემოთ შემოგთავაზებთ).

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა — ვიმეორებ, ჩემი აზრით — შემდეგი შეცდომები დაუშვა — ჩიქოვანის, ტყებუჩავას, ბურაძის საზღვარგარეთ გაშვების შემდეგ (აქ მართლაც ძნელი იყო ამ ბიჭებისთვის ბოლო შანსი წაგერთმია) საჭირო იყო ორი მცველის მაინც მოძებნა, რათა ეს დანაკლისი შევსებულიყო. ალბათ საჭირო იყო ქვცლაძის გუნდში დაბრუნებაც. რევიშვილი და ნემსაძე, მიუხედავად ჩემი მეტად მაღალი შეხედულებისა მათს ოსტატობაზე, მცველები არ არიან და შემქმნელები უფრო არიან, ვიდრე ჩამშლელები. დღითიდღე უკლებს ყაველაშვილიც, რომელიც თავდასხმიდან მარცხენა ნახევარმცველადაა დაწეული და მისთვის შეუფერებელი სამუშაოს შესრულება უხდება — „ბათუმთან“ და „შევარდენთან“ გაშვებული სამსამი გოლი განგაშის ზარი უნდა ყოფილიყო დინამოელთა მთავარი მწვრთნელისთვის.

— ალბათ, უმთავრესი იქნებოდა, თბილისში წინწაწეულ ხანეს პერსონალური მეურვე ჰყოლოდა. ასეთ შემთხვევაში შელია ყოველთვის მოასწრებდა დაზღვევაზე თამაშს და ალბათ არც ყვითელ ბარათებს მიიღებდა.

— სამი მცველით თამაში (ამ სამეულიდან „წარმოშობით“ მცველი მხოლოდ ლობჟანიძე გახლდათ) ინსბრუკში ავანტიურად მიმაჩნია.

ახლა იმ ობიექტურ მიზეზებზე მინდა ვთქვა, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ინსბრუკის კატასტროფაში. მიუხედავად იმისა, რომ დინამოელთა მთავარი მწვრთნელი უპირველესად საკუთარ თავს ადანაშაულებს, მაინც მინდა ეს მიზეზები ჩამოვთვალო:

— დილმიდან დილის რვა საათზე გასული დინამოელები ინსბრუკში მხოლოდ ღამის თორმეტ საათზე ჩავიდნენ. ამის გამო სასტუმროშიც გვიან ღამით მოეწყვნენ და, ფაქტიურად, 18 საათის განმავლობაში ერთხელ წაიხემსეს. ვერ ჩატარდა დაგეგმილი ვარჯიში „ტივოლიზე“.

— ისევე, როგორც მოლდოვასთან, საზიზღრად იმსაჯა თურქ მსაჯთა ბრიგადამ. თბილისელებზე მონადირე ავსტრიელებს მატჩის არბიტრი ხელსაც კი უწყობდა და, არ ვიცი, ჩანდა თუ არა ტელევიზორში, მაგრამ ქინქლაძესთან პერსონალურად მოთამაშე მენლიაპი მსაჯის ზურგსუკან გიორგის აშკარად კოჭებში ურტყამდა. სამაგი-

იხილეთ მეორე გვერდი



## ბებეტოს გადავურჩით

გუშინ ჟენევაში ევროთასების მორიგი ეტაპის წილისყრა მოეწყო. გაგაცნობთ მის შედეგებს.

თასების თასი. მერვედფინალი. 20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი.

ბრიუგე (ბელგია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ვერდერი (გერმანია)
აუსტრია (ავსტრია) — ჩელსი (ინგლისი)
არსენალი (ინგლისი) — ბრონდბიუ (დანია)
ტატრანი (სლოვაკეთი) — სარაგოსა (ესპანეთი)
სამპდორია (იტალია) — გრასჰოპერსი (შვეიცარია)
პორტუ (პორტუგალია) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ოსერი (საფრანგეთი)

უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი. 18 ოქტომბერი — 1 ნოემბერი.

იუვენტუსი (იტალია) — მარიტიმუ (პორტუგალია)
ადმირა (ავსტრია) — კანი (საფრანგეთი)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ოდენსე (დანია)
რაპიდი (რუმინეთი) — აინტრახტი (გერმანია)
ნიუკასლი (ინგლისი) — ატლეტიკი (ესპანეთი)
ტექსტილშჩიკი (რუსეთი) — ნანტი (საფრანგეთი)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ნაპოლი (იტალია)
ლაციო (იტალია) — ტრელებორგსი (შვედეთი)
სლოვანი (სლოვაკეთი) — დორტმუნდი (გერმანია)
დინამო (მოსკოვი) — რეალი (მადრიდი)
პარმა (იტალია) — ა.ი.კ. (შვედეთი)
ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
ტიროლი (ავსტრია) — ლა კორუნია (ესპანეთი)
სიონი (შვეიცარია) — მარსელი (საფრანგეთი)
გ.კ.ს. (პოლონეთი) — ბორდო (საფრანგეთი)
ჰონვედი (უნგრეთი) — ლევერკუზენი (გერმანია)

## „კაქტუსი“ ორ ფრონტზე

თბილისის „კაქტუსი“ მიწვეულია პროფესიულ საკალათბურთო ერთაშორის ლიგაში სასპარეზოდ. „კაქტუსის“ მთავარ მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს ეს პირადად აცნობა ლიგის მთავარმა კომისარმა სერგეი ჟურავლიოვმა. ლიგაში თავმოყრილა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების 8 საუკეთესო გუნდი: მოსკოვის ცსკა და „სპარტაკი“, ტალინის „კალევი“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, რიგის „ბროცენი“, კიევის „ბუდიველნიკი“, ვოლგოგრადის „აკვარიუსი“ და „კაქტუსი“. ჩვენების მიწვევა განპირობებულია სამარის „აირ-ფორჟესის“ (ცსკა ვვს) უარით ლიგაში თამაშზე. სამარელები ჯერ კიდევ „კაქტუსთან“ კორაჩის თასის მატჩების დროს აცხადებდნენ, რომ ფინანსური პრობლემების გამო ლიგაში არ იასპარეზებდნენ.

ლიგის თამაშები უკვე დაწყებულია. „კაქტუსს“ გამოტოვებული მატჩების „აღსადგენად“ თავიდან მჭიდრო გრაფიკით მოუწევს ასპარეზობა. 11 ოქტომბერს იგი ტალინში ეთამაშება „კალევს“, 12-ში კი, იქვე, „ბროცენის“. 18 ოქტომბერს თბილისელები მოსკოვში ცსკა-ს შეხვდებიან, მეორე დღეს — „სპარტაკს“. ლიგის მატჩები თბილისშიც გაიმართება, ოღონდ — დეკემბერში.

ლიგაში მონაწილეობასთან ერთად თბილისის „კაქტუსი“ ითამაშებს საქართველოს ერთოვნულ ჩემპიონატში. არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ლიგის მატჩებზე „კაქტუსში“ გამოსვლას აპირებენ ვითელი კახა შენგელია, თორსელი დავით თორთლაძე და ლევან ქარაბაკი — „თბილისიდან“.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ეროდ, მსაჯი დიდ ყურადღებას აქცევდა წესის ფორმალურ დარღვევებს დინამოელთა მხრიდან და რამდენიმე სანტიმეტრის გამო დარტყმებს ამეორებინებდა, ჯამარაულთან და ქინქლაძესთან უხეშ თამაშს კი... ამ უკანასკნელთა გაფრთხილებებით ებრძოდა.

მატჩის წინ მსაჯს ერთი კაიუშველებელი აუტეხავს, ბუცებზე ქაცვები დაამოკლეთო. ჩვენების პასუხს — ბუცები თქვენი მშობლიური ქვეყნიდან, თურქეთიდან არისო, არბიტრი არ დაუკმაყოფილებია და ზედ მატჩის წინ ქაცვები ქლიბებით გაახეხინა ჩვენებს. შემდეგ ჩხეიძეს გადაეკიდა, 16 ნომერი მაისური რატომ გაცვიაო, და იმდენი ქნა, შეაცვლევინა. იმავე ნომრით მჯდარ ავსტრიელ სათადარიგო მეკარისთვის კი არაფერი უთქვამს. მატჩი დაიწყო თუ არა, ნათელი გახდა, საითკენ უჭერდა მსაჯი.

...არ ვიცი, ვინ როგორ ჩამოთვლის, მაგრამ დინამოელთა მარცხში თავისი წვლილი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის უვარგის სისტემასაც მიუძღვის. თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში დინამოელები ბევრ თამაშს ისე იგებენ დიდი ანგარიშით, ოფლი არ გამოსდით. ეს კი ზოგ მათგანს „უძლეველობის" ილუზიებს უქმნის და როგორც კი ავსტრიელთა მჭიდრო, ხისტ თამაშს წააწყდნენ, მყისვე დაიბნენ ამდენი „პადკატი" დინამოელთა წინააღმდეგ ალბათ ერთადღებულ წინა ხუთ ჩემპიონატში არ გაკეთებულა.

დინამოელებს კვლავ ბურთიანად შესვლა უნდათ კარში, თითქმის არ დარტყმულა შორი მანძილიდან, მაშინ, როდესაც ავსტრალიელები სწორედ საჯარიმოს გარედან ბომბავდნენ ჩვენს კარს.

ნულის ტოლია კუთხურიდან არათუ რეალიზების, არამედ სახიფათო მომენტის შექმნის პროცენტიც კი. დინამოელები კუთხურს შემდეგნაირად ათამაშებენ: ორი კაცი ჩადის კუთხურის ალამთან და გაგორების შემდეგ ცდილობენ ხიფათის შექმნას, რაც ძალზე ძნელია, რადგან ამ დროს მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში დგას. ავსტრიელები კი მეტად პრაქტიკულად იყენებენ კუთხურს — პირდაპირ აწვდიან. სველ მინდორზე ალბათ ეს უკანასკნელი სჯობდა, თანაც ასეთ შემთხვევაში დინამოელებს ერთით მეტი კაცი ეყოლებოდათ მეტოქის საჯარიმოში.

ზემოჩამოთვლილი შეცდომები, ვიმეორებ, ჩემი, ჟურნალისტის თვალით დანახულია და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე გთავაზობთ. რაც შეეხება დინამოელებს, მათ გული არ უნდა გაიტეხონ, ოცდაერთი წლის წინათ წინამორბედნი ზუსტად იმავე ანგარიშით დამარცხდნენ „ტოტენჰემთან", რაც ასევე გამოუცდელობის ბრალი იყო. საჭიროა დინამოელები სწრაფად გამოვიდნენ სტრესული მდგომარეობიდან, რათა საქართველოს ნაკრების მატჩს ბულგარეთთან ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ.

### გივი ნოდია

— ბატონო გივი, რა თქმა უნდა, თქვენთვის ძნელია საკუთარ შეცდომებზე საუბარი, მაგრამ მინდა მკითხველმა თქვენი პირითაც გაიგოს, რაში ადანაშაულებთ საკუთარ თავს.

— ჩემი შეცდომები დაცვის ხაზის არასწორ დაკომპლექტება-დალაგებაშია. შელიას არყოფნიდან გამომდინარე ჩემპიონატის ორი თამაში ნაყოფიერად ვერ გამოვიყენე, რათა ეს ხარვეზი ამომევსო. დაცვის ხაზში გამოცდილებას უფრო დავეყრდენი, ვიდრე რეალურ სიტუაციას.

— შესვენებისას დაცვაში ტაქტიკური გადანაცვლებები მოახდინეთ. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმი გუნდმა ყველანაირად წააგო.

— ჩანაფიქრი მაინც ვერ შევასრულეთ, ვერც შესვენებაზე თქმული, ვერც თამაშის წინ. თუ პირველმა ნახევარმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა და იმედის მომცემიც იყო, მეორე ნახევარი პირწმინდად წავაგეთ, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვადანაშაულებ.

— მატჩი სამი მცველით ითამაშეთ, განა არ აჯობებდა, დაცვაში ერთით მეტი კაცი დაგეყენებიათ და თამაშიც დაცვიდან აგეგოთ?

— სამი მცველით თამაში არ ნიშნავს, რომ დაცვაში მაინცდამაინც სამ კაცს უნდა ეთამაშა. ჩვენი გეგმის მიხედვით მეტოქეს საჯარიმოს წინ უნდა დავხვედროდით, მაგრამ პირველი გოლის მერე გავიხსენით და მათ კონტრშეტევებს წამოვეგეთ ჩვენი სათამაშო, ფაქტიურად, ავსტრიელებმა ითამაშეს.

— ამასწინათ თქვენ აღნიშნეთ, რომ კარგი მწვრთნელი გუნდს ისე მოამზადებს, რომ თამაშისას ფორმის პიკზე ამყოფოს. თანაც მწვრთნელი კარგ მონადირეს შეადარეთ...

— გუნდი რომ თამაშისას პიკზე არ იყო, ალბათ ესეც ჩემი შეცდომა იყო. სამწუხაროა, რომ სწორედ განმეორებით მატჩს დაემთხვა ყოველივე.

— მსაჯობაზე რას იტყვით?

— მსაჯობაზე არასოდეს სიტყვა არ დამიძრავს და არც ახლა ვიზამ ამას...

— თამაშის წინა დღეს ბიჭებს, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანება შევატყვე წვიმის გამო.

— ჩემდა გასაოცრად, ბიჭების უმრავლესობას წვიმის რაღაცნაირი შიში დასჩემდა. ვერ გეტყვით რისი ბრალია ეს.

მოკლედ, წაგებაში, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვადანაშაულებ.II

### ჰანს კრანკლი

— მატჩამდე ორი საათით ადრე შევიტყვე, რომ შტრაიტერი ვერ ითამაშებდა. აქედან და ზოგიერთი სხვა მოსაზრებიდან გამომდინარე, თავდასხმა გავაძლიერე, რისკზე წასვლამ გამიმართლა და პირდაპირ გეტყვით, ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ საუკეთესო საღამო იყო. ამ გუნდით მთელ ავსტრიას შეუძლია იამაყოს, ჩვენ ხომ ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. მთელი მატჩი დაძაბული ვიყავი ბოლო წუთებამდე და მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როდესაც მეხუთე გოლი გავიტანეთ.

—ვიცოდი თქვენი დაცვის სისუსტის ამბები და ტაქტიკაც ამის მიხედვით ავაგე. ბოლოსდაბოლოს, „ბათუმმაც" და „შევარდენმაც" სამ-სამი გოლი გაგიტანათ და ჩვენ რატომ არ უნდა გაგვეტანა მეტი.

— „დინამოდან" აღსანიშნავი არიან არჩილ არველაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, შოთა არველაძე.

### ნიკოლაუს ნოირურერი

გაზეთ „ნოიე კრონენ ცაიტუნგის" მთავარი საფეხბურთო მიმომხილველი:

— რით აიხსნება თქვენი დამარცხება? შეცდები პუნქტებად ჩამოვაყალიბო:

თქვენებმა ვერ გამოიყენეს ნაღდი საგოლე მომენტები, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი გადაწყვეტილი არ იყო.

დაცვის უსუსტესი თამაში.

თქვენებმა ჩვენები ფლანგებზე თავისუფლად ათამაშეს, არადა, მთავარი საფრთხე აქედან გექმნებოდათ.

რაც შეეხება თქვენს დადებით მხარეებს, პირდაპირ გეტყვით: 8 და 10 ნომრების მსგავსი ფეხბურთელები (ჯამარაული და ქინქლაძე) ავსტრიაში არ არიან.

### ნიკა ჩხეიძე

— მეკარის პოზიციიდან გეტყვით, რომ ზოიძეს ვერცერთ გოლში ვერ დაანაშაულებ, პირიქით, იყო მომენტები, როდესაც მან იხსნა კარი ერთ-ერთზე გასული ავსტრიელებისგან და რამდენიმე ძნელი ბურთიც აიღო. შელიას არყოფნა ხომ...

გაცილებით უკეთესი იქნება, თუ საქართველოშიც ავსტრიელთა მსგავსად 10 გუნდიანი ჩემპიონატი გვექნება 4 წრედ.

### შოთა არველაძე

— გვეგონა, 3-4 საათში ჩავიდოდით და ლამის იყო 24 საათი ვიმგზავრეთ.

— მცველები არ გვყავდა, ფაქტიურად, ერთი მცველით ვითამაშეთ.

— ის, რაც მეტოქემ ითამაშა, ჩვენ უნდა გვეთამაშა.

— პირველი მატჩის შემდეგ თურქეთის გაზეთ „ჰურიეთის" საფეხბურთო მიმომხილველმა ორხან ქაინალიმ ინტერვიუ მთხოვა. მე ვუთხარი: თუ თურქი მსაჯები შეგნებულად წაგვაგებინებენ თამაშს, რათა „დინამოს" გავარდნის შემდეგ კვლავ თურქეთში სათამაშოდ გავემგზავროთ, მე და არჩილი იქ ფეხის ჩამდგმელი აღარ ვართ-მეთქი. ამ მატჩის შემდეგ შევეცდები ავასრულო ჩემი სიტყვები.

— ჩვენ ჩემპიონატში სუსტ გუნდებთან თამაში ძალაუნებურად გვასუსტებს, ასეთ პირობებში ოსტატობის ამაღლება შეუძლებელია.

— მე ვთვლი, რომ „დინამოს" მარტო რამდენიმე კაცი აქცევს ყურადღებას, თუ ეს კვლავაც ასე გაგრძელდა და მთელი საქართველო არ დაგვიდგა მხარში, არათუ ჩვენ, 16 წლის ბიჭებიც კი დაიკარგებიან ჩვენი ფეხბურთისთვის.

— ძნელია უმცველებოდ თამაში. არადა, ჩიქოვანს, ბერაძეს, ტყებუჩავას და სხვა მცველებს, ვინ იცის, იქნებ საზღვარგარეთ თამაშის მეტი შანსი აღარც მისცემოდათ, ამიტომ ძნელი იყო მათთვის უარის თქმა. თანაც შეყილაძე ბათუმმა არ გამოუშვა, გუჯაბიძემ ისეთ პირობები წამოაყენა, გაოცებულნი დავრჩით.

— ფეხბურთის ფედერაციასთან კონფლიქტმაც თავისი როლი ითამაშა... ამ ყოველივეს მიუხედავად, მაინც ჩვენ თავს ვადანაშაულებ, ალბათ რაღაც დავაკელით მზადებისას. ისე, უყისმათოდ დავიწყეთ თამაში და უყისმათოდვე დავამთავრეთ. ჩვენი უბედურება თბილისშივე დაიწყო, როდესაც შელია გაგვიგდეს. გულშემატკივრებს ერთს ვეტყვი: ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მსგავსი რამ ბულგარეთში არ განმეორდეს.

**მამუკა ქვარაცხელია**

ინსბრუკი — თბილისი

ჩვენი კორესპონდენტის ავსტრიაში მივლინება „დინამოს" დახმარებით მოხერხდა, რისთვისაც მადლობას ვუხდით კლუბის ხელმძღვანელობას

---

### უეფას თასი

ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩი

ინსბრუკი, სტადიონი „ტიროლი", 27 სექტემბერი.
10 000 მაყურებელი

**„ინსბრუკი" ავსტრია — „დინამო" თბილისი 5:1**

პირველი მატჩი 0:1

1. ზოიძე
3. ლობჟანიძე
2. ნემსაძე 4. რევიშვილი
5. ინალიშვილი
9. რ. არველაძე 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე 6. ყაველაშვილი
11. შ. არველაძე 7. ა. არველაძე

11. სანე 9. დანეკი
6. კირხლერი 10. შტიოგერი 3. მელიპი
2. პარტმანი 7. ჩერნი
5. პოიგერი 4. ვაცინგერი
8. ბაური
1. კოხი

შეცვლები: 74-ე წთ. ჯამარაული — 14. ანჩაბაძე
77-ე წთ. დანეკი — 12. იანეშიცი
81-ე წთ. სანე — 14. პრუდლო
84-ე წთ. რევიშვილი — 13. კიკნაძე

1:0 ჩერნი (4), 2:0 შტიოგერი (32), 3:0 დანეკი (35), 3:1 შ. არველაძე (36), 4:1 დანეკი (56), 5:1 იანეშიცი (88)

გაფრთხილება: პარტმანი (20), ქინქლაძე (29), ჯამარაული (65), ლობჟანიძე (74)

მსაჯები: იავუზი, სუიაბაქანი, ერსოი (თურქეთი)

კუთხური 10:6 (5:5); ჯარიმა 10:10 (5:4), თამაშგარე 2:4 (1:3), კარში დარტყმა 24:10 (12:7)

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 ზოიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნემსაძე | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 ლობჟანიძე | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 რევიშვილი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 5 ინალიშვილი | 1 | — | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 6 ყაველაშვილი (კაპ) | 2 | — | 2 | 2 | — | 1 | 1 | — | — |
| 7 ა. არველაძე | 3 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 8 ჯამარაული | 1 | 1 | 1 | — | — | 1 | — | — | — |
| 9 რ.არველაძე | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 10 ქინქლაძე | 1 | 1 | 2 | 2 | — | 2 | — | — | — |
| 11 შ. არველაძე | — | 1 | 4 | 1 | 3 | 2 | — | — | 1 |
| 14 ანჩაბაძე | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 13 კიკნაძე | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 10 | 10 | 10 | 7 | 3 | 7 | 1 | — | 1 |

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 კოხი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 პარტმანი (კაპ) | 1 | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 მენლიპი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4 ვაცინგერი | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 პოიგერი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6 კირხლერი | 1 | 3 | 3 | 2 | 1 | — | 2 | — | — |
| 7 ჩერნი | 1 | — | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | — | 1 |
| 8 ბაური | 1 | 1 | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 9 დანეკი | 1 | 2 | 8 | 4 | 4 | 2 | 3 | 1 | 2 |
| 10 შტიოგერი | — | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 3 | — | 1 |
| 11 სანე | 2 | — | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 12 იანეშიცი | — | — | 2 | — | 2 | — | 1 | — | 1 |
| 14 პრუდლო | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 1 დარტყმა მცველმა მოიგერია. | | | | | | | | | |
| სულ | 10 | 10 | 24 | 14 | 10 | 6 | 11 | 1 | 5 |

## გვიყვარხარ, ჰანსი!

„ჰანსი, გვიყვარხარ!" „ჰანსი, გმადლობთ მონიჭებული სიხარულისთვის!" ასეთი სათაურებით დაიბეჭდა ავსტრიულ გაზეთებში „ტიროლი" — „დინამოს" მატჩის მიმოხილვები.

„ვინც ამ დღეს თავსხმა წვიმაში სტადიონზე არ მოვიდა, დაკარგა უსაზღვრო სიამოვნება თვალნათლივ ეხილა ინსბრუკელთა შესანიშნავი თამაში, რამიც უდიდესი წვლილი ჰანს კრანკლს მიუძღვის" — წერდა 28 სექტემბერს გაზეთი „ნოიე კრონენ ცაიტუნგი". — მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე, როცა ცნობილი გახდა, რომ შტრაიტერი ვერ ითამაშებდა, კრანკლმა ბაური დაცვაში გადაიყვანა და ნახევარდაცვა ჩერნის, მელიპის, შტიოგერისა და კირხლერის იმედად დატოვა. მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება მართებული აღმოჩნდა და შედეგმაც არ დააყოვნა — შტიოგერის „მოსამზადებელი სამუშაოს" შემდეგ ჩერნიმ მეოთხე წუთზე ანგარიში გახსნა. თბილისელებმა შეტევებს უმატეს და მე-15 წუთზე ბრაზილიურ სტილში დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს შოთა არველაძე, მაგრამ უშედეგოდ. შტიოგერისა და დანეკის ზუსტი დარტყმების წყალობით ავსტრიელებმა ანგარიში სამამდე გაზარდეს. თბილისელებს არც ამან ჩამოაყრევინა ყურები და შოთა არველაძემ ისარგებლა ტიროლელი მცველების შეცდომით — პირისპირ გავიდა მეკარესთან და გოლიც გაუტანა. მეორე ტაიმში კრანკლმა თბილისელთაგან საუკეთესოს, ქინქლაძეს მელიპი მიუჩინა მეურვედ. დანეკმა 55-ე წუთზე კირხლერის იდეალური პასის შემდეგ ბურთი ცარიელ კარში შეაგორა და ყველაფერი ნათელი გახდა."

„სრულიად ტიროლს, სრულიად ავსტრიას შეუძლია იამაყოს ამ წარმატებით" — განაცხადა თამაშის შემდეგ ჰანს კრანკლმა. — „გავრისკეთ, გაგვიმართლა და მეორე წრეში გავედით. ეს შესანიშნავია!"

კვლავ დანეკი: „მე დიდი ხანი ველოდი ამ შანსს და იგი ხელიდან არ გამიშვია. ყველამ ნახა, რომ ბებერი დანეკი ფეხბურთისთვის ჯერ არ მომკვდარა".

## უეფას თასი

ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 27 სექტემბერი

ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) 3:0 (0:2)
იუვენტუსი (იტალია) — ც.ს.კ.ა. (სოფია, ბულგარეთი) 5:1 (2:3)
არისი (საბერძნეთი) — გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) 1:0 (0:1) პ 3:4
სამუნცისი (47)
მარიტიმუ (პორტუგალია) — არაუ (შვეიცარია) 1:0 (0:0)
ალეესი (62)
მარსელი (საფრანგეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 3:0 (2:1)
დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) 4:1 დ.დ. (0:1)
სიონი (შვეიცარია) — აპოლონი (კვიპროსი) 2:3 დ.დ. (3:1)
კიშპეშტ პონვედი (უნგრეთი) — ტვენტე (ჰოლანდია) 1:3 (4:1)
ილესი (58 პ); ფურენსი (34), ელერმანი (67), ბურებახი (87)
პარმა (იტალია) — ვიტესი (ჰოლანდია) 2:0 (0:1)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — აკრანესი (ისლანდია) 4:1 (4:0)
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — ანტვერპენი (ბელგია) 5:2 (5:0)
ოდენსე (დანია) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 5:0 (1:1)
ასტონ ვილა (ინგლისი) — ინტერი (იტალია) 1:0 (0:1) პ 4:3
აინტრახტი (გერმანია) — ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) 2:0 (1:1)
დიკჰაუტი (10), იებოა (85)
დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — სერენი (ბელგია) 0:1 (4:3)
მასენსი (87)
სლავია (პრაღა, ჩეხეთი) — ა.ი.კ. (შვედეთი) 2:2 (0:0)
სუხოპარეკი (26), ბეიბლი (57); ლიდმანი (35), სუნდგრენი (81)
ლაციო (იტალია) — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 4:1 (0:0)
ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) 0:0 (4:5)
მიუპა 47 (ფინეთი) — ბოავიშტა (პორტუგალია) 1:1 (1:2)
გრიომპოლში (75); არტური (89 პ)
გურნიკი (პოლონეთი) — ადმირა ვაკერი (ავსტრია) 1:1 (2:5)
ბალიცინსკი (30); ლიტოვჩენკო (45)
ნანტი (საფრანგეთი) — როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) 3:0 (2:3)
უედეკო (29, 64), ლოკო (75)
სკონტო (რიგა, ლატვია) — ნაპოლი (იტალია) 0:1 (0:2)
ბუსო (31)
კოპენჰაგენი (დანია) — სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 1:1 (0:1)
ნილსენი (45 პ); ნეგრო (24)
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 3:3 (1:2)
ჩაუსილა (6), ნიკულესკუ (51), ლიჩა (82); ქ. ორპანი (21), ფ. ორპანი (23), სონერი (78)
სპორტინგი (პორტუგალია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 2:1 (0:1)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — კანი (საფრანგეთი) 1:5 (0:4)
ბულენთი (58); თაიფური (21, საკ. კარში), ორლავილი (25, 62), მისუდი (50), ვიერა (77)
მარლეროა (ბელგია) — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:1 (0:2)
ტიროლი (ავსტრია) — დინამო (თბილისი, საქართველო) 5:1 (0:1)
მოზერველი (შოტლანდია) — ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 0:2 (0:1)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — ბორდო (საფრანგეთი) 0:2 (1:3)
ზიდანი (2), ფურნიე (15)
ტრელებორგი (შვედეთი) — ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) 2:2 (1:0)
ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — ტექსტილშჩიკი (კამიშინი, რუსეთი) 1:0 (1:6)
ჩატო (77 პ)

## ჩემპიონთა ლიგა

II ტური. A ჯგუფი

გალათასარაი (თურქეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 0:0
გიოტებორგი (შვედეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 2:1

B ჯგუფი

ბაიერნი (გერმანია) — დინამო (უკრაინა) 1:0
სპარტაკი (რუსეთი) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 1:2

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 4-2 | 3 | პარი სენ-ჟერმენი | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| ბარსელონა | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 | დინამო | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| გიოტებორგი | 1 | 0 | 1 | 4-5 | 2 | ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 1-2 | 2 |
| გალათასარაი | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 | სპარტაკი | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |

C ჯგუფი

სტიაუა (რუმინეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია) 0:1
ბენფიკა (პორტუგალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 3:1

D ჯგუფი

მილანი (იტალია) — კაზინო (ავსტრია) 3:0
ა.ე.კ. (საბერძნეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) 1:2

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 | აიაქსი | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| ჰაიდუკი | 1 | 1 | 0 | 1-0 | 3 | მილანი | 1 | 0 | 1 | 3-2 | 2 |
| სტიაუა | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 | ა.ე.კ. | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| ანდერლეხტი | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 | კაზინო | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |

## თასების თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 29 სექტემბერი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — პირინი (ბულგარეთი) 6:1 (2:0)
ჰ.ი.კ. (ფინეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1 (0:2)
ოსერი (საფრანგეთი) — კროაცია (ხორვატია) 3:0 (1:3)
ჩერნომორეცი (უკრაინა) — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 1:0 (0:3)
აუსტრია (ვენა, ავსტრია) — ბრანიკი (სლოვენია) 3:0 (1:1)
სამპდორია (იტალია) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) 2:0 (2:3)
პლატი (14), ლომბარდო (37)
ტირანა (ალბანეთი) — ბრონდბიუ (დანია) 0:1 (0:3)
ვიქტორია (ჩეხეთი) — ჩელსი (ინგლისი) 0:0 (2:4)
ვერდერი (გერმანია) — მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) 2:0 (0:0)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — ც.ს.კ.ა. (მოსკოვი, რუსეთი) 2:1 (1:2) პ 8:7
ლიპჩეი (36), ნაგოე (45); რაპიმოვი (15)
არსენალი (ინგლისი) — ომონია (კვიპროსი) 3:0 (3:1)
ტატრანი (სლოვაკეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) 3:1 (2:3)
სარაგოსა (ესპანეთი) — გლორია (რუმინეთი) 4:0 (1:2)
ბრიუგე (ბელგია) — სლიგო როვერსი (ირლანდია) 3:1 (2:1)
ლ.კ.ს. (ლოძი, პოლონეთი) — პორტუ (პორტუგალია) 0:1 (0:2)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ჟალგირისი (ლიტვა) 2:1 (1:1)

# მთავარია ბიჭებმა ითამაშონ

სლოვენია. ევროპის ჩემპიონატის (16 წლამდე). შესარჩევი მატჩები
19 სექტემბერი. საქართველო — სომხეთი 5:2
საქართველო: ხაჩირაშვილი, რცხილაძე, გვაზავა, წერეთელი, იოსავა (ყიფიანი), ჩომახიძე, ფეზუაშვილი, ნიტაიშვილი, ალექსიძე (ფარქოსაძე), პეტრიაშვილი, შენგელია
გოლები: ნიტაიშვილი (2), პეტრიაშვილი, შენგელია, ფარქოსაძე
21 სექტემბერი. სლოვენია — საქართველო 2:1
საქართველო: ხაჩირაშვილი, რცხილაძე, გვაზავა, წერეთელი, ყიფიანი, ბაჯელიძე, ფეზუაშვილი, ნიტაიშვილი, ალექსიძე, პეტრიაშვილი, ფარქოსაძე
გოლი: პეტრიაშვილი

ჩვენი ჭაბუკების ნაკრების მთავარ მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს ვენის აეროპორტში შევხვდი. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მას მწვრთნელობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა და მონდომებით, სიჯიუტითა და მოთმინებით განაგრძობს დაოსტატებას. სლოვენიის ტურნირი მისთვისაც საკმაო მნიშვნელოვანი გამოცდა გახლდათ.

— მართალია, ფინალის საგზური ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩვენებმა პრინციპული მატჩი მოუგეს სომხებს და არც მასპინძლებთან უთამაშიათ ურიგოდ. სლოვენებთან მატჩის ყველაზე ობიექტური შედეგი ფრე უნდა ყოფილიყო. გამოყოფით არავის გამოვყოფ. ყველამ კარგად ითამაშა. ახლა მთავარია ეს ბიჭები კაცთა გუნდებში მოხვდნენ და სათამაშო პრაქტიკა არ დაკარგონ. არადა, დღესდღეობით მხოლოდ ორი მათგანი თუ თამაშობს დიდ გუნდში. ისევე, როგორც უფროსებში, ჩვენი ნაკლიც საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, არცერთ მეტოქეს ფიზიკურად არ ჩამოვრჩით. პირიქით, თუ ადრე ამ თვალსაზრისით ჩვენსა და მათ შორის დიდი ზღვარი იყო, ახლა ასე აღარაა. ვიმეორებ, მთავარია ეს ბიჭები ძირითად შემადგენლობებში მოხვდნენ და არა სათადარიგოთა სკამზე.

მამუკა კვარაცხელია

ბრაზილიელმა ამომავალმა ვარსკვლავმა, მსოფლიოს ჩემპიონმა (ოღონდ უთამაშებლად) რონალდომ, რომლის სრული სახელია რონალდო ნასარიო ლიმა, დაბადების მეთვრამეტე წლისთავზე თავის თავს საჩუქარი გაუკეთა: 22 სექტემბერს მან ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან" ხელი მოაწერა ახალ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც იგი ამ კლუბში 1999 წლამდე ითამაშებს. თუმცა ახალი ხუთწლიანი „ერა" რონალდომ მთლად ხეირიანად ვერ დაიწყო — ლევერკუზენის „ბაიერთან" განმეორებით შეხვედრაში მან თავი ვერ გამოიჩინა და „ეინდჰოვენიც" უეფას თასის მიღმა დარჩა. არადა, სტუმრად რონალდომ ბდღვირი ადინა გერმანელთა დაცვას და სამი გოლი გაიტანა.

## ფეხბურთის



## რუკასთან

იტალიური „მილანი", ოთხშაბათს „კაზინოსთან" დიდი ანგარიშით მოგების მიუხედავად, შეიძლება მალე მაინც სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცეს. საქმე იმაშია, რომ ამ მატჩის მსვლელობისას ერთი იტალიელი ტიფოზის მიერ ნასროლი წყლით სავსე ბოთლი კეფაში მოხვდა ავსტრიელთა მეკარე ოტო კონრადს და იგი მოედნიდან გაიტანეს. სათადარიგო მეკარეს იტალიელებმა მალე მესამე გოლიც გაუტანეს და გამარჯვებაც მოიპოვეს, მაგრამ დარჩება თუ არა ეს შედეგი ძალაში, 6 ოქტომბერს, უეფას სადისციპლინო კომისიის სხდომაზე გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ ადრე ასეთი ფაქტებისთვის გუნდებს გადათამაშებას უნიშნავდნენ („სელტიკი", მიონხენგლადბახის „ბორუსია") და ხანდახან წაგებასაც კი უთვლიდნენ ხოლმე („აიაქსი").

რუსეთის ფეხბურთმა კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი მოისაკლისა. 54 წლისა გარდაიცვალა 60-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის უპოპულარულესი ფეხბურთელი, მოსკოვის „დინამოსა" და სსრკ ნაკრების თავდამსხმელი იგორ ჩისლენკო, ვინც ცამეტი წლის მანძილზე „დინამოს" შემადგენლობაში 68, ნაკრებში კი 20 გოლი გაიტანა. მისი კარიერის მწვერვალი იყო 1966 წელი, როცა ჩისლენკო მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, შემდეგ წელს კი „ფრანს ფუტბოლის" ყოველწლიურ კლასიფიკაციაში მეცხრე ადგილზე გავიდა. ჩისლენკო რვაჯერ მოხვდა „33 საუკეთესო" ფეხბურთელთა შორის, აქედან სამჯერ — პირველ ადგილზე. საინტერესოა, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მას მხოლოდ... 1991 წელს მიანიჭეს. ღმერთმა კარგა ხანს აშოროს ჩისლენკოს ხვედრი კიდევ ერთ ყოფილ რუს ვარსკვლავს, 57 წლის გალიმზიან ჰუსაინოვს, რომელიც ლოგინად ყოფილა ჩავარდნილი და სწორედ ამიტომ გასულ კვირას სამარაში, სადაც თავის დროზე ჰუსაინოვმა თამაში დაიწყო, საქველმოქმედო მატჩი გაიმართა. ადგილობრივი „კრილია სოვეტოვისა" და კიევის „დინამოს" ვეტერანებმა 3:3 ითამაშეს და მთელი შემოსავალი (მილიონამდე მანეთი) ავადმყოფის ოჯახს გადასცეს. ამას ქალაქის მერიამ სამი ათასი, „კრილია სოვეტოვმა" კი ათასი დოლარი დაამატეს.

გერმანელმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფრანც ბეკენბაუერმა ბოლო მოუღო მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მას მშობლიური „ბაიერნის" პრეზიდენტობა სურდა. მან განაცხადა, რომ კვლავ დარჩება კლუბის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, ახალი პრეზიდენტი კი ან ფრიც შერერი, ანაც კარლ-ჰაინც რუმენიგე იქნებაო.

საქართველოს ჩემპიონატი

VI ტური, 24 სექტემბერი

### დურუჯი 0:2 მეტალურგი

დურუჯი: პაქსაშვილი, ვ. ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ჭაჭუა, ბოჭორიშვილი (გ. ხუბეჯიშვილი), კანკია, ჯაშიაშვილი, პოზოიანი, თოლორდავა, ლვინიაშვილი
მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, კვარაცხელია (ტარტარაშვილი 64), გ. კილასონია, ყაველაშვილი, გაფრინდაშვილი (პერტია 85), ალადაშვილი
0:1 გ. კილასონია (30), 0:2 ვ. კილასონია (67)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### ზუგდიდი 3:1 ივერია

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, გაბედავა, ნ. კაკუბავა, დ. კაკუბავა, დარასელია, გაბისონია, გუგუჩია (კუტალია 46)
ივერია: ტოგონიძე, კენჭუაშვილი (ნეკერაშვილი 46), სამხარაძე, ნოზაძე, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, გაგუა (მ. ლაცაბიძე 55), ჩადუნელი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ნიკლაური
1:0 გაბისონია (2), 2:0 გაბისონია (9), 2:1 ნიკლაური (61), 3:1 გაბისონია (65)
მსაჯი: ვ. ეჟიბია (თბილისი)

### საპოვნელა 3:0 დილა

საპოვნელა: თევზაძე, ბოჭორიშვილი, გენაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, ბუნტური (კუხიანიძე 70), ჯულელი (ჩინჩალაძე 75), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა
დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გეგეჭკორი, ნკრიალაშვილი (რევაზიშვილი 60), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (მინდიაშვილი 52), ტაბატაძე, ზურ. ხორგუაშვილი. ზვ. ხორგუაშვილი
1:0 გოდერძიშვილი (15), 2:0 ხურცილავა (40), 3:0 ხურცილავა (80)
გაფრთხილება: ჯულელი
მსაჯი: მ. მალალურიძე (თბილისი)

### კახეთი 1:1 გურია

კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე, კაციტაძე, სანადირაძე, სოლოლაშვილი, სეფაშვილი, ბაკურაძე, [illegible], კალუგა, ბაბულაიძე ([illegible] 35), შონია
გურია: ბერაძე, [illegible], [illegible], რუხაძე, ბუცურიშვილი, [illegible], კვინტრაძე (ხარში[illegible] 75), რეხვიაშვილი, გოგოლაძე (ნარიაშვილი 89), ყულეჯიშვილი, კანტიძე
0:1 კვინტრაძე (42), 1:1 ბაკურაძე (70)
გაფრთხილება: რეხვიაშვილი, თევზაძე, გოგოლაძე, ბაკურაძე
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### კოლხეთი 2:3 ბათუმი

კოლხეთი 1913: ბოჭორიშვილი, გოროზია, ღალანიძე, დანელია, გიგატაძე, მაჭავარიანი, ბულუხია (ინიაშვილი 71), ტორჩინავა (ჯავაშვილი 76), ჯულელი, დარასელია, გიორგაძე
ბათუმი: მალაყმაძე, ი. მახარაძე, ფუტკარაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ღლონტი, უჯმაჯურიძე, ამბიძე
1:0 ჯულელი (8), 1:1 უჯმაჯურიძე (47), 1:2 მაჭუტაძე (62), 1:3 მაჭუტაძე (87), 2:3 ჯულელი (89)
პენალტი ვერ გაიტანა მაჭუტაძემ (36)
გაფრთხილება: შეყილაძე, მაჭუტაძე, გოროზია, ღალანიძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ტორპედოს წაგება ჩაეთვალა კოლხეთი 1913-თან გამოუცხადებლობისთვის.

საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი 28 (14) სექტემბერი

ეგრისი — დილა 1:2 (0:5)
კახეთი — უინვალი 3:0 (5:0)
ქიზიყი — ასკ 4:2 (0:0)
მეტალურგი — მარგვეთი 3:0 (2:1)
საპოვნელა — ჭაბუკიანი 3:0 (1:0)
შირაქი — ივერია 0:4 (1:3)
გურია — სიონი 3:0 (2:2)
შევარდენი 1906 — ზუგდიდი 1:2 (1:2)
დურუჯი — მესხეთი 4:0 (1:4)
სამგურალი — ბათუმი 0:3 (0:3)
ტორპედო — მეშახტე 6:1 (6:2)
იბერია (თბ) — აზოტი 0:2 (1:4)
ანცი-ზოოვეტი — მერანი-91 3:2 (1:1)


# კლუბი «მესეფი»

სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია

# ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| | ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური | | | |
| 1 ოქტომბერი | არსენალი — კრისტალ პალასი | 1,1 | 3,1 | 8,0 |
| | ჩელსი — ვესტ ჰემი | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | ნორვიჩი — ბლექბერნი | 2,8 | 2,6 | 1,7 |
| | უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,5 | 3,0 | 1,7 |
| | ლივერპული — შეფილდი | 1,1 | 3,1 | 8,0 |
| | ასტონ ვილა — ნიუკასლი | 2,8 | 3,0 | 1,6 |
| | ლესტერი — კოვენტრი | 1,5 | 2,6 | 3,8 |
| | მანჩესტერ იუნ. — ევერტონი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | საუთჰემპტონი — იფსვიჩი | 1,5 | 2,6 | 3,8 |
| | ლიდსი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 3,0 | 5,7 |
| | ნოტინგემი — ქუინზ პარკი | 1,2 | 2,7 | 7,2 |
| | გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური | | | |
| 1 ოქტომბერი | ბაიერნი — კიოლნი | 1,2 | 2,7 | 7,2 |
| | კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 2,5 | 2,8 |
| | შალკე — აინტრახტი | 1,5 | 2,6 | 3,8 |
| | ურდინგენი — დორტმუნდი | 3,2 | 2,6 | 1,6 |
| | ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი | 1,5 | 2,6 | 3,8 |
| | ლევერკუზენი — შტუტგარტი | 1,4 | 2,8 | 4,0 |
| 6 ოქტომბერი | ვერდერი — ჰამბურგი | 1,2 | 2,8 | 6,6 |
| | ესპანეთის ჩემპიონატი. V ტური | | | |
| 1-2 ოქტომბერი | ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | ვალენსია — ოვიედო | 1,2 | 2,6 | 8,0 |
| | სარაგოსა — ბარსელონა | 2,0 | 2,4 | 2,6 |
| | ტენერიფე — სოსიედადი | 1,2 | 2,8 | 6,6 |
| | კომპოსტელა — ლა კორუნია | 5,7 | 2,6 | 1,3 |
| | ესპანიოლი — სელტა | 1,4 | 2,8 | 4,0 |
| | რასინგი — ბეტისი | 1,7 | 2,5 | 3,0 |
| | სპორტინგი — რეალი | 3,0 | 2,5 | 1,7 |
| | ატლეტიკი — ლოგრონიესი | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | სევილია — ალბასეტე | 1,2 | 2,8 | 6,6 |
| | იტალიის ჩემპიონატი. V ტური | | | |
| 2 ოქტომბერი | ბარი — კალიარი | 2,3 | 2,3 | 2,3 |
| | კრემონეზე — ფოჯა | 2,0 | 2,3 | 2,7 |
| | ფიორენტინა — ლაციო | 2,3 | 2,3 | 2,3 |
| | ჯენოა — რეჯანა | 1,2 | 2,6 | 8,0 |
| | იუვენტუსი — ინტერი | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | მილანი — ბრეშია | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ნაპოლი — პადოვა | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | პარმა — ტორინო | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | რომა — სამპდორია | 2,0 | 2,3 | 2,7 |
| | თურქეთის ჩემპიონატი. VII ტური | | | |
| 2 ოქტომბერი | გალათასარაი — ბეშიქთაში | 1,5 | 2,5 | 4,0 |
| | პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტური | | | |
| 1 ოქტომბერი | ბენფიკა — პორტო | 1,3 | 2,6 | 5,7 |
| | საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტური | | | |
| 1 ოქტომბერი | ნანტი — ბორდო | 1,3 | 2,6 | 5,7 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ხუთშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

## რაგბი

# დაუსრულებელი მატჩი

საქართველოს პირველობა

**აია 3 (0) — თბილისი 0**

ქუთაისი. სარაგბო სტადიონი. 27 სექტემბერი

აია: შანიძე; გაბრიჩიძე, ბართ. ხამაშურიძე, ე. ძაგნიძე, ყორყოლიანი (თედოშვილი); ნ. ძაგნიძე, ტყაბლაძე; ფირცხალავა (აშვეთია), გიორგაძე, ბაბუნაშვილი; ჩირგაძე, ლევიძე (ოდიშარია); გოგისვანიძე (ზვ. ლიპარტელიანი), ზ. შვანგირაძე, ფხაკაძე. — ს: ნ. ძაგნიძე

თბილისი: წეველიძე; ქავთარაშვილი, ხპ. ლიპარტელიანი, ალანია, სიხარულიძე; გეგელაშვილი, იოვაძე; აბელოვი (კვანტალიანი), დოლიძე (რობიტაშვილი), მაჭუტაძე; კახიანი, ალ. ლიბრაძე; დგებუაძე, კობახიძე, ტყეშელაშვილი (გოქსაძე)

მსაჯი ავთანდილ ლიბრაძე (თბილისი)

ამერში ბოლო სტუმრობისას „აიას" მთავარმა მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა ბრძანა: „თბილისს" სიურპრიზს ვუმზადებ და ქუთაისში ნუგზარ ძაგნიძეს ვათამაშებო. ბატონმა დუგლასმა, რომელიც მატჩამდე ერთი საათით ადრე ჩამოფრინდა მოსკოვიდან, ნუგზარს ვეტერანი ხამაშურიძე, ფირცხალავა და ზვიად ლიპარტელიანი დაუმატა. თბილისელებმა კი მარჯანიშვილი და ობოლაძე მოისაკლისეს. გამარჯვების შემთხვევაში ქუთაისელებს, სულ ცოტა, ჩემპიონობისთვის დამატებითი მატჩის პერსპექტივა უჩნდებოდათ, ხოლო დედაქალაქელებს „აზოტთან" დარჩენილ შეხვედრაში პირველობის მოგებისთვის ფრეც დააკმყოფილებდათ.

მატჩი, მეტოქეთა შეთანხმებით, ნახევარი საათით გვიან დაიწყო: არ ჩანდა რაგბის კავშირის მიერ დანიშნული მსაჯი, კომისარი კი ერთბაშად ორი აღმოჩნდა: თბილისიდან ავთანდილ ლიბრაძე გამოემგზავრა ამ მისსიით, ხოლო სენაკიდან ჩამოსულმა დავით კილასონიამ განაცხადა, რაგბის კავშირმა კომისრობა მე დამავალაო.

დანიშნულ მსაჯს ჩამოსვლა არ ეწერა და სტადიონზე შეკრებილმა საზოგადოებამ მის შემცვლელს დაუწყო ძებნა. ჯერ „აიას" უფროსს გიზო ცქიტიშვილს სთხოვეს. იგი ფორმაშიც გამოეწყო, მაგრამ თბილისელებმა თქვეს, ბატონ გიზოს დიდი ხანია არ უმსაჯია, ახალ წესებში ბოლომდე გარკვეული ვერ იქნება და თავი შევიკავოთ. მერე ასევე ქუთაისელ დიმიტრი ფულარიას დაადგეს თვალი, ამან კი კატეგორიული უარი განაცხადა. სხვა გზა აღარ დარჩა — ისევ კომისრად მოვლენილ ავთანდილ ლიბრაძეს მიმართეს და მის დაყაბულებას დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე გუნდმა თამაშის გაძღოლა გარე ნახევარმცველებს დაავალა და, ესენიც თითქმის ერთნაირად თამაშობდნენ. ოღონდ, თუ გეგელაშვილი ფეხით ძირითადად მოედანზე აბრუნებდა ბურთს, ან ფეხმარდი თანაგუნდელების იმედით აბრაგანებს ჰკიდებდა, ნუგზარ ძაგნიძე ერთთავად კიდეზე აგზავნიდა ბურთებს, რითაც თბილისელებს კომბინაციებს უშლიდა, ხოლო თავისიანებს სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა. შესვენებამდე სალელოვე სიტუაცია ერთხელ შეიქმნა, როცა ნუგზარმა ბაბუნაშვილი ჩართო შეტევაში, ამან ბურთი ფირცხალავას გაატანა, რომელსაც ლელოში წაქცევალა რჩებოდა მიზნის მისაღწევად, მაგრამ არ დაანებეს. მეორე ტაიმის დასაწყისში ძაგნიძემ ისეთი საჯარიმო გაარტყა ხარიხარს, ოთხი-ხუთი წლის წინ თვალდახუჭულს რომ გაჰქონდა, მაგრამ შეცდომა მალევე გამოასწორა, როცა თბილისელები თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევის გამო დასაჯა. გეგელაშვილს დარტყმები არ წაუვიდა — სამჯერააცილა. ამასთან, სტუმართა უკანა ხაზმა არაფრით არ გაშალა თამაში, რითაც დაღლილ ქუთაისელ კოლეგებს შრომა შეუმსუბუქა.

მთავარი ამბები თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დატრიალდა: ჯერ ბაბუნაშვილს თავში ფეხი მოხვდა და თამაშიდან გასაყვანი შეიქნა. მასპინძლებს მანამდე ოთხი მოთამაშე შეეცვალათ და ამიტომ თამაში 14 კაცით გააგრძელეს. შემდეგ იოვაძემ ძაგნიძეს დაუფარა, ბურთი საბოლოოდ სპირიდონ ლიპარტელიანთან მოხვდა, მაგრამ ლელოს სიახლოვეს შეაჩერეს. მოგვიანებით თბილისელთა უკანა ხაზმა ორკაციანი უპირატესობა მიიღო, მაგრამ ალანიამ მარცხნივ პასის ნაცვლად მარჯვნივ გააკეთა ფინტი, რითაც მეტოქეს თავი შეაბოჭინა. მსაჯმა ქუთაისელთა მხრიდან თამაშგარე დააფიქსირა, რაც არ ესიამოვნა ემზარ ძაგნიძეს და მოედნიდან თვითნებურად გავიდა. იგი ორიოდ წუთში დაბრუნდა, როცა მისი თანაგუნდელები მსაჯს ედავებოდნენ.

აქ ჩვენ თხრობას შევწყვეტთ და შემოგთავაზებთ ამონაწერს მატჩის ოქმიდან, რომელიც თბილისელთა კალამს ეკუთვნის: „მატჩის მსვლელობის დროს მასპინძელთა მოთამაშეები ხშირად აპელირებდნენ არბიტრთან. ამის გამო მსაჯმა თამაში დაამთავრა 5 წუთით ადრე... მოგმართავთ თხოვნით... დაგვინიშნოთ ამ კალენდარული მატჩის გადათამაშება. კლუბის დირექტორი მიხეილ რობიტაშვილი". მოსახლეობზე რაგბის კავშირს დღეს 12 საათზე მოუწევს თავის მტვრევა.

**მერაბ რატიშვილი**

ქუთაისი — თბილისი

28 სექტემბერს გაწვიმდა, რის გამოც „ლელო" — „ყოჩების" მატჩის გამართვა სათუო იყო, მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ მსაჯი მესამე მასივში მდებარე სტადიონზე ვერ მივიდა, მორაგბეებმა ნაწვიმარზე მაინც ითამაშეს, თუმცაკი ზუსტი ანგარიში, ვეჭვობთ, არავინ უწყის. ყველაზე სარწმუნო ვერსიით „ყოჩებს" 49:6 გაუმარჯვნიათ.

4 ოქტომბერს ვაკეში დიდი რაგბია: „თბილისი" „აზოტს" ეთამაშება.

| I ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია | 9 | 7 | 0 | 2 | - | 148:84 | 16 | 14 |
| თბილისი | 8 | 6 | 0 | 2 | - | 186:62 | 26 | 12 |
| აზოტი | 7 | 5 | 0 | 2 | - | 299:88 | 46 | 10 |
| ყოჩები | 9 | 3 | 0 | 6 | - | : | | 6 |
| ლელო | 7 | 1 | 0 | 6 | - | : | | 2 |
| მერკური | 6 | 4 | 0 | 2 | 1 | 156:62 | 21 | 7 |
| შევარდენი | 6 | 0 | 0 | 6 | 1 | 37:341 | 3 | -1 |

## კრივი

# სწორედ ის მაქქოლი

ბრიტანელი ლენოქს ლუისი კარგი ბიჭი რომ არის, იმიტომ არა სწყალობენ სენსაციებს დახარბებული მედია და ამერიკელი მენეჯერები: ამათი აზრით, თუ მოკრივე ნარკოტიკებს არ ეტანება, ქალებს არ აუპატიურებს, ციხეში არა ზვდება, სამაგიეროდ, დედამისი დაჰყავს თავის შერკინებებზე, მაშინ წარმოსაჩინებლად არცა ვარგებულა. უთუოდ ამიტომ იყო, ლუისის ყველა ორთაბრძოლის წინ მედია რომ წინასწარმეტყველებდა, უეჭველად წააგებსო, ეს ლუისი კი, თითქოს ამათ ჯინაზე, ყველა შერკინების მოსაგებად თითო დარტყმას იკმარებდა ხოლმე — ასე თამაშთამაშ მოუგია 25 შერკინება, ნოკდაუნიც არასოდეს უწვნევია და კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონის ტიტული სამჯერაც დაუცავს.

ამჯერად სხვაგვარად მოხდა. შაბათს, 24 სექტემბერს, ლონდონში, უემბლის სტადიონის 11-ათასიან დარბაზში ლუისს შეერკინა ამერიკელი ოლივერ მაქქოლი, რომელიც ჩემპიონზე 6 მთელი 3 მეოთხედი გირვანქით (ანუ თითქმის 3 კილოგრამით) მსუბუქიც იყო და 29 შეხვედრიდან 5 წაგებულიც ჰქონდა. გარდა ამისა, ჩემპიონის ბანაკი აცხადებდა, ჩვენი რჩეული უთუოდ გაიმარჯვებს, ვინაიდან მაქქოლი ამ ბოლო ხანს ქალებთან ნებივრობას უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ვარჯიშსო.

ბრძოლა უეცრად დამთავრდა. პირველ რაუნდში ლუისმა ორი კროსი უთავაზა მეტოქეს. მაქქოლმა, რომელიც კარიერის განმავლობაში ასევე არასოდეს ყოფილა ნოკდაუნში, რაუნდის ბოლომდე გაძლო, შესვენებისას კი გამოცდილმა მწვრთნელმა ემანუილ სთიუართმა აუხსნა, ლუისი მარჯვენათი დარტყმის დროს ერთობ იხსნება და აბა, შენ იციო. მართლაც, მეორე რაუნდის მე-20 წამზევე მაქქოლმა ისე მოარტყა ლუისს, რომ ეს დაბარბაცდა, მერე ორჯერ სცადა ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ რეფერიმ აღარ დაანება.

მაშინ მედიამ კიდევ ერთხელ შეახსენა აუდიტორიას, რომ გამარჯვებული სწორედ ის მაქქოლია, ვინაც წინათ მაიკ ტაისონის სპარინგ-პარტნიორი ყოფილა და ერთ-ერთი წვრთნისას 1987 წელს ტაისონი კიდევაც დაუნოკდაუნებიაო.

გამოჩნდა ტაისონიც, ვინაც ციხიდან ტელეფონით შეეხმიანა ახალ ჩემპიონს და შემდგომი წარმატებებიც უსურვა მანამ, სანამ... თავად ციხიდან გამოძრწანდება და კრივს დაუბრუნდება. მაქქოლმაც შეაქო ტაისონი და თქვა, დიდ პატივს კი ვცემ, მაგრამ ცემასაც ვაპირებო.

ასეა თუ ისე, კრივის მენეჯერები, მეტადრე კი მენეჯერთა მენეჯერი დონ კინგი მაქქოლს ჯერ ფრენკ ბრუნოსთან იქვე, უემბლიზე შებმას სთავაზობს. ბრუნო ამ ერთი წლის წინ ლუისმა გალახა.

**ვალერი ჯიქია**

## კალათბურთი



სტუ — დინამო



მეობა — ნილენა

რონკეტის თასი. I წრის I მატჩი
**მეობა ქუთაისი — ნილენა კიევი, უკრაინა 62:75 (40:41)**
თბილისი, სპორტის სასახლე, 28 სექტემბერი
მსაჯები: ბრაზაუსკასი (ლიტვა), მეცალუ (ესტონეთი)

| მეობა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 ომიაძე (კაპ) | 6 | 2 | 2 | — | 4 | 2 | 2 |
| 5 კუპატაძე | 8 | 5 | 1 | — | 2 | 1 | 3 |
| 13 კუპრაშვილი | 8 | 2 | 6 | — | — | — | 3 |
| 14 ჩეკურიშვილი | 22 | 12 | 3 | 2 | 8 | 8 | 2 |
| 10 კომლაძე | 18 | 21 | 1 | — | 8 | 5 | 4 |
| 11 ქერდიყოშვილი | — | 4 | — | 1 | — | — | — |
| 9 ბლიაძე | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| სულ | 62 | 46 | 14 | 3 | 22 | 16 | 15 |

| ნილენა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 სვირიდოვა (კაპ) | 13 | 3 | 4 | 1 | — | — | 1 |
| 9 ფედჩენკო | 7 | 6 | 4 | — | 1 | 1 | 4 |
| 15 ხილკო | 14 | 2 | — | — | — | — | 1 |
| 14 პივოვაროვა | 15 | 15 | 3 | — | 7 | 3 | 4 |
| 12 მატვეევა | 13 | 12 | — | 5 | 4 | 1 | 4 |
| 11 ევტუშენკო | 7 | 3 | — | — | — | — | 1 |
| 10 დეგტიარენკო | — | 2 | — | — | — | — | 1 |
| 6 ფილოზოფი | 2 | 1 | 1 | — | — | — | — |
| 13 გალიმულინა | 2 | — | — | — | — | — | |
| 5 შუმსკაია | 2 | 2 | — | — | 2 | 2 | — |
| სულ | 75 | 46 | 12 | 6 | 14 | 7 | 18 |

ჩემპიონთა თასი. ქალები. I წრის I მატჩი
**სტუ — დინამო კიევი, უკრაინა 62:73 (36:40)**
თბილისი, სპორტის სასახლე, 29 სექტემბერი
მსაჯები: ბრაზაუსკასი (ლიტვა), მეცალუ (ესტონეთი)

| სტუ | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 ქაჯაია | 15 | 1 | 1 | — | 10 | 9 | 4 |
| 6 სირაძე | 19 | 2 | 3 | — | 7 | 6 | 4 |
| 9 ბუილლიშვილი (კ) | 13 | 6 | — | — | 8 | 7 | 3 |
| 7 მ. მაისურაძე | 10 | 16 | 1 | 1 | — | — | 4 |
| 13 ლ. მაისურაძე | 2 | 16 | — | — | 2 | — | — |
| 11 გაბედავა | 1 | 1 | 1 | — | 2 | 1 | — |
| 14 ცანავა | 2 | — | — | — | 2 | 2 | 3 |
| სულ | 62 | 42 | 6 | 1 | 31 | 25 | 18 |

| დინამო | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 ბოიკო | 2 | 4 | 2 | — | 2 | — | 2 |
| 4 კირიჩენკო (კ) | 15 | 5 | 2 | — | 7 | 5 | 4 |
| 11 დავგალიუკი | 20 | 5 | 4 | — | 9 | 7 | 4 |
| 14 შლიახოვა | 5 | 6 | — | 1 | — | — | 4 |
| 15 ნავროცკაია | 10 | 5 | 2 | 1 | — | — | 1 |
| 13 სილიანოვა | 8 | 3 | 1 | — | 1 | 1 | 3 |
| 12 ვლასოვა | 8 | 2 | — | — | — | — | 2 |
| 9 ანდრეევა | 4 | 3 | 1 | — | 4 | 2 | 2 |
| 8 ხილმანი | 1 | — | — | — | 2 | 1 | — |
| სულ | 73 | 33 | 12 | 2 | 25 | 16 | 22 |

# ქალებიც დამარცხდნენ

„მეობა" — „ნილენას" მატჩის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ ქუთაისელებს გაუჭირდებოდათ მეტოქის მოძრავი მოთამაშეების დაჭერა. თანაც, ათივე კიეველმა კალათბურთელმა სათამაშო დრო თითქმის თანაბრად „გაინაწილა", მაშინ როცა ქართველები ძირითადად 6 ქალის ამარა იყვნენ. აღსანიშნავია თეა კომლაძის თამაში, რომელმაც შედეგიანობასთან ერთად „ფარზე მუშაობითაც" გამოიჩინა თავი. მაღალი ტემპის გამო დაღლის მიუხედავად, ქუთაისელმა კალათბურთელებმა სანიმუშო თავდადებით ითამაშეს, თუმცა უფრო ორგანიზებული გუნდის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს.

გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა სტუ-ს — კიევის „დინამო". თბილისელებმა ორჯერ მოახერხეს ათქულიანი ჩამორჩენის გაქვითვა, მაგრამ ამასთანავე, საოცრად ბევრი სროლა გააცუდეს. ამ მხრივ მდგომარეობა მეორე ტაიმის შუაში გამოსწორდა, თუმცა დინამოელთა რაციონალურობამ და შემადგენლობის ცვლამ თავისი გაიტანა.

განმეორებით მატჩს „მეობა" 5 ოქტომბერს გამართავს, სტუ — 6 ოქტომბერს.


გამომცემლობა „მარდი" სწრაფად და ხარისხიანად დაგიკაბადონებთ და გამოსაცემად მოგიმზადებთ წიგნებს, ჟურნალებს, ბროშურებს, სამეცნიერო შრომებს და დისერტაციებს.

ტელეფონები: 39-36-78, 38-11-14, (დღისით) 96-93-97 (საღამოს)


# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 11**
9-12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 1 | მ. გლადბახი — ლევერკუზენი |
| 2 | დუისბურგი — ფრაიბურგი |
| 3 | მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი |
| 4 | აინტრახტი — კარლსრუე |
| 5 | კიოლნი — დინამო დრეზდ. |
| 6 | კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი |
| 7 | ლა კორუნია — სარაგოსა |
| 8 | სოსიედადი — სევილია |
| 9 | ვალიადოლიდი — ვალენსია |
| 10 | ბულგარეთი (ახ)—საქართველო (ახ) |
| 11 | ბულგარეთი — საქართველო |

ჩაბარების ბოლო ვადა — 6 ოქტომბერი, 16 საათამდე

**ტირაჟი 12**
9-12 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 1 | ისრაელი — სლოვაკეთი |
| 2 | დანია — ბელგია |
| 3 | მაკედონია — ესპანეთი |
| 4 | შვეიცარია — შვედეთი |
| 5 | თურქეთი — ისლანდია |
| 6 | უკრაინა — სლოვენია |
| 7 | ნორვეგია — პოლანდია |
| 8 | ავსტრია — ჩრდ. ირლანდია |
| 9 | მოლდოვა — უელსი |
| 10 | ბულგარეთი (ახ)—საქართველო (ახ) |
| 11 | ბულგარეთი — საქართველო |

ჩაბარების ბოლო ვადა — 11 ოქტომბერი, 16 საათამდე, ცენტრალურ ტელეგრაფში. ტელ: 96-32-61, 99-55-24

**ყურადღება!**

თუ 11 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 10 შედეგის გამომცნობებს მომდევნო ტირაჟში უფლება ეძლევათ 6000 რუბლის ან 240 000 კუპონის შესატყვისი ვარიანტები უფასოდ ითამაშონ


ERC

ვისაც გსურთ სამ თვეში ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ებრაული, და რუსული სალაპარაკო ენისა და წერა-კითხვის შესწავლა, მიმართეთ შ.პ.ს. „ელიტა-სკ" უცხო ენების სწრაფი შესწავლის კურსებს მისამართზე:

ვაჟა-ფშაველას გამზირი 44, მეორე სართული, № 12 (მეტრო „დელისთან"). ტელ: 39-87-25



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66 441

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექვალია, გაუქა წიკლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა